ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Georgia. The Assembly of Mestia Municipality

27.12 .2021 წ.

დ.მესტია

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №87
მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტისა და პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის, ე-პუნქტის, ,,ე.ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, მესამე პუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს, მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტი და პროგრამები დანართი №1–ის შესაბამისად. (დანართი: 4 ფრ);

2. აღნიშნული პროგრამის შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12).

იგორ რატიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე მ/შ

დანართი №1

ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის ადმინისტრირების ქვეშ მყოფი
კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის
თანადაფინანსების პროგრამა

ზოგადი ნაწილი:

ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის ადმინისტრირების ქვეშ მყოფი „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი" ემსახურება მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულს. სარეაბილიტაციო ცენტრში ფუნქციონირებს დღის ცენტრის, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, შინმოვლისა და ადრეული განვითარების პროგრამები.

1. პროგრამების დეტალური აღწერა:

დღის ცენტრი - 6-დან 18 წლამდე ასაკის საშუალო და მსუბუქი ინტელექტუალური სფეროს დარღვევის, ასევე, ქცევითი დარღვევით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებისათვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები; სამიზნე ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. სერვისის მიწოდების დროს ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც არის სტანდარტის შესაბამისად სამი კომპონენტის შემცველი.

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).

ზრდასრულების (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას. არსებული სერვისი, ასევე დამატებით მოიცავს ტრანსპორტირებას (სახლიდან ცენტრამდე და პირიქით) და კვებას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).

შინმოვლის სერვისი, რომელიც გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნელის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, ამასთანავე პირველადი კვების პაკეტებითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას.

ეტლის მორგების მომსახურების სერვისი - ეტლის მორგების მომსახურება ბენეფიციარებისთვის.

ავთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი, რომელიც გულისხმობს შეზღუდული ბაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების ტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას. ასევე, მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში.

ბავშვთა რთული ქცევის მართვის სერვისი - ქცევითი გამოყენებითი ანალიზის მეთოდით თერაპიული მომსახურების უზრუნველყოფა (ABA თერაპია)

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი - 87,812 (ოთხმოცდაშვიდი ათას რვაას თორმეტი) ლარი.

3. პროგრამის დაფინანსების წყარო:
მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი - 87,812 (ოთხმოცდაშვიდი ათას რვაას თორმეტი) ლარი.

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის

5. პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ღონისძიებები
პროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებების დაფინანსება:

- ❑ ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში;
- ❑ ერთჯერადი კვება;
- ❑ სამიზნე ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით;
- ❑ ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა;
- ❑ ბენეფიციარების კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა, როგორც მომსახურების ფარგლებში, ასევე მის გარეთ;
- ❑ ბენეფიციარების უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვა;
- ❑ დროის სწორი ორგანიზების, ეფექტიანი კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების სწავლება;
- ❑ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შეთავაზება საჭიროებისამებრ;
- ❑ ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება;
- ❑ ბენეფიციართა ფუნქციურ-აკადემიური უნარების განვითარება;
- ❑ პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენა;
- ❑ ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
- ❑ მშობელთა ჩართულობის ხელშემწყობი გეგმის შედგენა-განხორციელება;
- ❑ პიროვნული განვითარება;
- ❑ გარემოსთან ადაპტაციისა და სოციალური ინტეგრაცია;
- ❑ წინარე და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარება;

- ❑ პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა;
- ❑ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა;
- ❑ პროგრამის მოსარგებლის განვითარებისა და ადაპტური ფუნქციონირების დონის შეფასება და ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შედგენა, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის კორექტირება;
- ❑ ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიება მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად, მოსარგებლისათვის სეანსის მიწოდებას, (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, ქცევის მართვის სპეციალისტი და სხვა);
- ქვეპროგრამის მოსარგებლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტირება.

6. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული გონებრივი ან/და ფიზიკური შეფერხების ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა. მშობლების ცნობიერების ამაღლება. ასევე ზრდასრულთა დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფა. პროფესიულ, საგანმანათლებლო და ინკლუზიურ-პროფესიული განათლების ხვედრითი წილის გაზრდა და ხელშეწყობა. ადრეული განვითარების პროგრამის მიზანია განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებში მოხდეს დროული ინტერვენცია.

7. მოსალოდნელი შედეგი:

- ბენეფიციართა სოციალიზაცია
- ფუნქციური უნარების განვითარება
- ბენეფიციარებისთვის თვით მოვლის უნარებ-ჩვევების განვითარება
- ფუნქციური უნარების განვითარება
- დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარება
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
- ფიზიკური და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება
- ფსიქო ემოციური მხარდაჭერა
- ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი
- პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება (კვება, ჰიგიენა)
- ბავშვის განვითარების ნებისმიერი სფეროს დაყოვნებისა და/ან შესაბამისი რისკის მქონე ბავშვების დროული იდენტიფიცირება და ინტერვენცია

როგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

ოსარგებლეთა ჩართვა პროგრამაში

პირის/ორგანიზაციის მიერ, მშობლის/მეურვის და/ ან შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მომართვის საფუძველზე ხდება ბენეფიციარის შესაბამის პროგრამაზე/პროგრამებზე ჩართვა. ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე.
ადრეული განვითარების პროგრამა ნაწილობრივ ფინანსდება საქართველოს ჯან დაცვის სამინისტროს მიერ.

9. ანგარიშგება

პროგრამის მიმდინარეობისას შემოწმება და შესრულებული სამუშაოს ინსპექტირება
პროგრამის განმახორციელებელი პერიოდულად ამოწმებს მიმწოდებლის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას. შემოწმების განხორციელების ფორმა და მექანიზმი განისაზღვრება პროგრამის განმახორციელებლის მიერ.

შემოწმებას ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შშმ პირთა საბჭო.

სრულყოფილად წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოს ანგარიშზე (საანგარიშგებო დოკუმენტებზე) ფორმდება პროგრამის განმახორციელებლის მიერ დამტკიცებული ფორმის პირველადი მიღება-ჩაბარების აქტი.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

მერიის მხრიდან თანხის ანაზღაურება ხდება ერთიანად ან ეტაპობრივად შესაბამისი დაწესებულებიდან წარმოდგენილი ინვოისის შესაბამისად ერთი თვის ვადაში.

ა(ა)იპ ერთად რეალური ცვლილებებისათვის ადმინისტრირების ქვეშ მყოფი „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“-ს ხელმძღვანელი ვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მერს და შშმ პირთა საბჭოს პერიოდულად წარუდგინოს ფინანსური ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ. აქვე ვალდებულია აცნობოს მიმდინარე ან დაგეგმილი პროგრამებისა და საქმიანობების შესახებ ინფორმაცია.